


რომანსი.

(რუსული)

როდესაც განახეთ მე თქვენ სიზმრად,
მაშინ ბედნიერ წამით ესტკებოდით,
რომ მეცნო იგი მე შესაძლოდა—
არც არასოდეს გავიღვიძებდი!..

თქვენ ჩემსა გულსა ნახათ ეყრდნოდით,
მეფიცებოდით, რომ სატრფო ჰპოვეთ
და ოდეს გითხართ—მე თქვენ მიყვარ-
| ხართ!
—მეც თქვენ მიყვარხართ!—გაიმეორეთ!

ო—მი.



ნერანის ხანა ცირკში.

არენა.

დედა და ქალი.

(„კრასნი—სარაფანის“ ხმაზედ)

- ქალი.** დედიჯან, დედილო!
გამათხოვე ვკედები...
- დედა.** ჯერ აღრეა, შეილო,
როცა გაიზდები.
- ქალი.** დედიჯან, მითხარი,
თუ ჯვარს დამწერ მალე!
- დედა.** თუ გსურს გაგათხოეო,—
ცოტა დამაცალე.
- ქალი.** სულ მაგრე მატყუებ,
დაიცადე ჯერო.
- დედა.** რომ ვამბობ აღრეა?
უნდა დამიჯერო.
- ქალი.** გასულ თვის პირველში,
გაეხდი თხუთმეტისა.
- დედა.** პაწაწა გომბიოს,
შენ რა გესმის ქმრისა?!
- ქალი.** ჩემს პადრუგა ნუცას,
შეილი ჰყავს მე არა!
- დედა.** მოესწრები შენცა
მოიცა პატარა!..
- ქალი.** გძელი კაბა მინდა,
ვარ გასათხოვარი.
- დედა.** ცემა თუ მოგინდა,
შენ მე ეს მითხარი?!
- ქალი.** (ტირილით) შკოლაში არ წავალ,
ვივლი ბაღებში,
თავისუფლათ დავალ,



ზ. ტარხნილ ანდრომენდა.

ვეწერ ბაღებში.
რას მიშველის შკოლა,
რომ ვიკითხო, ვწერო?
„კავალრების“ ყოლა,
„ვოტ ჩუნდოე დელო“!
მუშტიდღში „ლექტომა“
„პრელესტ“ გულაობა,
ლამაზი ვარ მითომც
ყველა თავს მევლდება.
„მაზურკას“ თამაშში,
უნდა მნახოთ ბალში,
მორცხვად თავსა ვლუნავ.
კაქკაქივით ვხტუნავ!..
თამაშობის დროსა,
თითქოს ვფრინავ ცაში,
არ მაკლია „ბრაფა“!..
„პოკლონიკთა“ ტაში.
ვეცხოვრობ ნებიერად,
არ ვემღერი ბედსა,
* კისერ მოღერილი
ვევარ მაშინ მტრედსა.
მხოლოდ სამწუხაროთ,
შველა არსით არი,—
ვგებ თქვენ მხაროთ
და მიშოგნოთ ქმარი.
თუმცა პატარა ვარ,—
მიყვარს ყმაწვილები,
მხოლოდ გაბზევილი
ქონდეთ უღვაშები!..

ი. გრიშაშვილი.

კომედია ცხოვრებიდან.

(ნემეტურიდან)

აღალბებრი სუეკეთესო მსახიობი იყო ქალაქის თეატრისა. ის ჩქარი ნაბაჯით დადიოდა თავის პატარა, მაგრამ ლამაზ ოთახში და როლს კითხულობდა. იგი უცებ შესდგა და გულმოსულმა რვეული კუთხეში გადაავლო.

— ნამდვილი სისულელეა, — წარმოსთქვა მან და უკვირდა, რომ მას, გამოჩენილ მსახიობს, ასეთი სისულელე შესთავაზეს სათამაშოთ, — შინაარსიან მოქმედებას მოკლებული! ესლანდელი მწერლები! — გულის წყრომით განაგრძო მან, — ან-კი რა უნდა დაწერო? რა მასალას აძლევს მათ ცხოვრება? ცხოვრება, რომელიც ასე უფერულია, უსიკოცხლო და აუღელვებელი!.

ლამაზ აღალბებრტს, როგორც ქალაქის ქალები ეძახდნენ სწორეთ ამ დროს შეაწყვეტინეს თავისი მსჯელობა ესლანდელ მწერლებზე. რადგანაც ეილცამ კარები დააკაუნა.

— ვინ არის? — შეიძლება! შემობრძანდით!... — წყრომით მიახალა, შემოსულ დიასახლისს, რომელიც ქშენით შემოვიდა მეტის მეტი სიმსუქნისაგან. იგი თითქოს ცოცხალ პროზას წარმოადგენდა ამ მშვენიერ პოეტურ ოთახში, გავსილს გვირგვინებით — ოქროსა და ვერცხლის წარწერებით, ეტყობოდა, რომ აქ ძლევა მოსილ გენიოსს დაებუნდა და მის შემთავსობათ ჩამწყკრიებულებიყენენ ბრინჯაოს პატარა ქანდაკებანი და გვირგვინები ფერადი ატლასის ლენტებით. გვირგვინები, რომელიც თვით რომის ამაყ და დიდებულ კეისრის თავს დაამშვენებდა.

ორჯერ თვეში მთელი ეს ოთახის მშვენიერება მის პატრონს მიჰქონდა ქალაქის ლომბარდში და უკან მოქონდა. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ოთახის ფული იყო გასასტუმრებელი და, როდესაც ჯამაგირს იღებდა. ესლა ყველაფერი თავის ადგილზე იღვა და საერთო პოეტური პარამონიას ხელს უწყობდა. ამ დროს აღალბებრიც კმაყოფილი იყო, იგი ამაყურათ გადასცქეროდა მათ.

— ორ ყმაწვილს უნდათ თქვენი ნახვა — წაილულულა დიასახლისმა და პატარა ვერცხლის გვირგვინს გადახედა, თითქოს უკვირდა მისი ჯერ კიდევ იქ ყოფნა, — მგონი სტუდენტები არიან, ცისფერი ქულები ხურავენ თავზე!..

— სთხოვე!

დიასახლისი ფრთხილათ გავიდვ ოთახიდან.

ნის პოზით ჩაფიქრებულმა, დაუწყობრეულის ფურცელს ცქერა.

ამ დროს ფრთხილათ გაიღო კარები და ორი სტუდენტი მოკრძალებით ოთახში შემოვიდა. ისინი იქვე კარებთან დადგნ და სულგანაბულნი დიდხანს სტკებოდნენ მსახიობის მრავალ-მეტყველვან პოზით.

აღალბებრტს უყვარდა სტუდენტები, რადგანაც ისინი იყვენ პირველნი და მუდმივი შეჰქნელნი მისი დიდებისა, მისი სახელისა.

მათ მოკრძალებით ჩახველეს. მსახიობმა დინჯათ ასწია თავი რვეულიდან, მხიარული სახით მიეგება მათ და ორივე ხელი გაუწურადა ჩამოსართმევით.

— აა, აკადემიის კეთილნო მოქალაქენო! რით შემიძლია გემსახუროთ?!...

სტუდენტები ამ სიტყვებზე, თითქოს რაღაც ფიქრიდან გამოკრცენნო და მსახიობის კარგათ მოქცევით ვათამამებულნი აცნობდნ თავის თავს:

— გენრის რაუტაღერი!

— ფრიც მარკორდი! დიდებულ მსახიობს „მარკ“-ი და „ტალირ“-ი*) სასიამოვნოთ ეალერსებოდნ, მანაც ღიმილით მიუთითა სკამზედ და სთხოვა დამსხდარიყვენ.

შემდეგ პატარა პაუზისა, ფრიცმა მოკრძალებით დაიწყო.

— ჩვენ თქვენთან მოსვლას ორი მიზანი აქვს, პირველი ისა, რომ ჩვენ გვინდა თავიანი ვსკეთ თქვენ შეუღარებელ ნიქს და მეორე — ჩვენი თხოვნა მოისმინოთ. თხოვნა, რომელსაც უფრო აღმაიანი ვაიგებს და შეიწყნარება ვიდრე მსახიობი. თქვენ ჯერ კიდევ აქ ჩამოსული არ იყავით, რომ მთელი ქალაქის ქალიშვილების გული დაიპყართ. ჩვენთვის კი, უბრალო მომავლედავთავის, საკმარისი იყო მხოლოთ ორი გული, რომელნიც მხოლოდ ჩვენთვისა სტგერდნ. მაგრამ აი, გამოჩნდით თქვენ და ჩვენ სატრფოთა გულიც თქვენ დაგესაკუთრათ. ჩვენ კი ნემეტი სტუდენტები ამა რაღა სტუდენტები ვართ უსატრფოთ?! რამდენს არა ესცდილობდით გველოთანი, გვეჰქიუნა, იქნებ ჩვენი ვარამი ლუდის ქიქაში ჩაგვემარხა, მაგრამ მათი სახე, როგორც ფხიზლებს, ისე მთურათაც ყოველთვის წინ გვედგა. ჩვენ გთხოვთ, დაგვიბრუნოთ ჩვენი მტრედნი, დაგვიბრუნოთ ის წმინდა და უმანკო, ორი გული, რომელთა მფლობელიც თქვენ შეიქენით! თქვენ კიდევ ბევრი დაგჩვენათ! თქვენ ვერცკი იც-

ნობთ მათ: თქვენი თავიანის-მცემელნი ისეთი მრავალრიცხოვანია, რომ ორის გამოკლება თქვენთვის შეუშნეველი იქნება.

— დიახ, რასაკვირველია — დაუმატა ნასიამოვნებმა მსახიობმა, — მაგრამ, მართოს გეფიცებით, არ ვიცი ვიზე ლაპარაკობთ?!..

— ჩვენ გეტყვით მათ სახელებს, მხოლოდ საიდუმლოთ — ღინა და მინა... მას შემდეგ რაც თქვენ დაგინახესთ, ჩვენზე ფიქრსაც კი დაანებეს თავი...

აღალბებრტმა ამაყათ გადაისვა ხელი თავის მშვენიერ თხაზე, გაიმართა წელში და სარკეში მისი ლამაზი, ღერწამსაგით სწორი ტანი გაჰჩადა. დიახ, იგი არჩვი იყო, ლამაზი, შეუღარებელი, რომელსაც ცისაკენ გაეშვირა თავის, მძლავრი ფრთები და მედიდურათ ოვალ-გაუწოდომელ სიგრცეში მიექანებოდა და მას ათასი და ათი-ათასთა მშვენიერი თვლები მისჩერებოდა.

— მე თქვენ, ვიცოცა, მეცოდებით! მაგრამ არ ვიცი რით გიშველოთ?! — სიბრალოელის კილოთი მიმართა მათ მსახიობმა.

— თქვენ შეგიძლიათ თავი შეაძლოთ ისე, როგორც შეაყვარეთ... — სასოწარკვეთილებით მიუგეს სტუდენტებმა.

— როგორ მიჩვენო? როლი გლახათ ვითამაშო? წავახდინო? ეგ შეუძლებელია! ეგ თავხედური თხოვნაა... — წყრომით მიუღო მათ აღალბებრტმა.

სტუდენტები შეკრთენ, თითქოს კიდევ შეშინდათ მისი. თავი მტყუანისავით ძირს დახარეს და აღარ იცოდნენ რა ეთქვათ.

— საქმე იმაში მდგომარეობს — ნელის ხით დაიწყო გენრიხმა, — რომ არა ნაკლებ თქვენი თამაშისა — თქვენი მშვენიერი თმა იტაცებს მათ.

— მაშ ესლა რაღას მიბრძანებთ, ხომ არ გინდათ, რომ თავი მოვიპარსო და მით თავი შევაძლო?!

მათ ენა აღარ ემოჩრილებოდათ. ისინვ ქანდაკებასავით გაშეშებულებიყენნ და პირდაღებულნი მსახიობს შესცქეროდნ. უცებ მსახიობს თითქოს რაღაც გაახსენდა, წამოიწია სკამიდან და ჰკითხა:

— როგორი სახისანა არიან თქვენი სატრფონი, ამიწერეთ!.

მათ მსწრაფლათ ამოიღეს უბის ჯიბიდან სურათები თავიანთის სატრფოებისა, რომლებსი მეორე გვერდზე ეწერა: „საუუკუნო შენი“, ერთზე — ღინა, მეორეზე — მინა.

აღალბებრტმა გადაათვალიერა სურათები და უკანვე დაუბრუნა.

დიახ, დიახ... — თითქოს რაღაც აგონ-

*) ნემეტური ფული,

დებოდა მსახიობს—ქაოქის ბაღში მე ხშირათ მინახავს ისინი მოსივრენ! არა უკვირანს ერთი კვირისა, გაძლევეთ სიტყვას,—გზა დაბნეულნი ცხოვარნი ისევ თავიანთ მწყემსებს დაუბრუნდებიან.

— როგორ? მხიარულათ ეკითხებოდან ფრცი.

— ეს ჩემი საიდუმლოა!..

იმედ მოცემულნი მალე გამომეშვიდობენ მსახიობს და ოთახიდან გავიდნენ.

ქაოქის ბაღში ხალხი ბლომათ სივრნობდა. ბაღის ერთ ერთ მიყრუებულ ხეივანში, დაბურულს დიდრონ ხეებით, რომელსაც მზის სხივებიც კი არ ხვდებოდა, დასვირობდა დიდებული მსახიობი როლით ხელო. ხელი ხელ გაყრილი, თითქოს ერთმანეთს მიკრობოდნენ, ნახათ მოსივრნობდენ მსახიობისკენ მინა და ღინა. მათ ღამაზ სახეზე ეტყობოდათ, რომ ყოველი მოძრაობა გამოჩენილ მსახიობისა აინტერესებდათ და სულ განაბოლნი, ალტაცებული თვალეებით შესტკეროდნენ მსახიობს მწველ და მომხიბვლელ თვალეებში.

ისინი ნელ—ნელა უახლოვდებოდნენ მას. ადალბერტმა ვითომ და უცაბედათ გააგდო რვეული ხელიდან. ქალიშვილები მისივე დასწვდნენ რვეულს, აიღეს ხელში და აღერსიანი ღიმილით მსახიობს გადასცეს. მან გამოართვა რვეული და თავისი ბასრი თვალეები ერთხელ კიდევ ჩანერგა მათ ნორ? გულში და ქულის მოხლით მადლობა გადაუხადა. ისინი უცებ შეკრთნენ; გახტენ გვერდზე და ერთმანეთს ჩაეკერნ. ისინი იცინოდნენ ჯავრისაგან და მხიარულებსაგან. მსახიობი კი ნელა განაგრძობდა თავის გზას.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ფრცი და გენრიხი ბენდინერის სახით შევიდნენ გამოჩენილ მსახიობთან და ალტაცებულნი მადლობას უხდოდნენ.

— ისინი ისევ ჩვენნი არიან,—მისალმებისათნავე მხიარულათ მიმართა ფრცი—მა,—გმადლობთ, გმადლობთ!.. როგორ მოახერხეთ? რა ქენით ისეთი, რომ ჩვენი გვრიტები ისევ ჩვენ დაგვიბრუნეთ?..

— სულ უბრალოთ, ქული მოვიხადე და თავი დაუკარი, მეტი არაფერი!..

— ამ დროს მსახიობი ქულით თავზე ოთახში დასვირობდა.

— თავი დაუკარიო?—გაკვირვებულნი ეკითხებოდნენ სტუდენტები.

— დიხ, ახა მიყურეთ... აი ასე...
სტუდენტებს აქ ის დემართათ, რაც ღინასა და მინას, ისინი უცებ განზე გადადნენ და თვალეებს არ უჯერებდნენ—ნუ თუ თქვენ მშვენიერი თქვენი თმა ჩვენი გულსათვის გაიპარსეთ?!

— არა, სრულიადაც არა, მე მხოლოთ ბელოტის პარიკ დავიხურე! შეხედეთ,—მან უცებ მოიხსნა პარიკი და მშვენიერი, მომხიბლავი, ისევ ისე ღამაზი ადალბერტი იღვა სტუდენტების წინ.

— ეხლა გარწმუნებთ, რომ თქვენი მტრელები სამუდამოთ თქვენი იქნებიან, რადგან მათ ველარაფრით ვეღარ დააჯერებთ, რომ ეს თმის ტყე თავზე—ბუნებრივია და არა ხელოვნური.

კმაყოფილი სტუდენტები სიცილს ველარ იკავებდნენ...

— დიხ, აკადემიის მოქალაქენო, ეს გახლავთ—კომედია ცხოვრებიდან!..

გოლა ა—ძე.



პატარა ქალის სიღმარა.

დელას ბევრი შეევეხეწე, რომ ეშოვნა ჩემთვის ქმარი და პასუხათ ეს მივიღე: „შესაფერი არსად არი“

მერე მამას შეევეხეწე: პაპა, დეშე, მინდა ქმარი! მაგრამ დახეთ უბედობას კილამ მოხლიშო თავში ხმალი.—

მეც ველოდე დღე და ღამე აცა ბელი გამეხსნება, მაგრამ თქვენც არ მომიკვდებოთ. ჯერაც არვინ არ მიჩნდება.

ოცი წლისა შევიქენი—არ მაღირსეს გათხოვება; აწ ვინც მეტყვის მას წაყვები,—მგონი ბევრიც იპოვება.

თქვენ მოგმართავთ, ყმაწვილებო, მომიძებნეთ სადმე ქმარი,—მე უმღვოლოდაც წამოგაყვებით, არ მწამს ხატი, აღარც ჯვარი.

რას მიქვიან ეკლესია, გვირგვინი და ჯვარის წერი, რადგან კანონ—სამართალმა ქალი უქმროთ დამაბერა!!

მაზრანელი.

ოგის მოლოდინში.

ახარ, მაქთაღჯან! გაიგე, დედაკაცო, ახალი ამბავმა ყურუმსალი ოსმალო რუსებზე წამოსვლას აპირებს! ამობენ, თუ უნდა ომი დაიწყოსო! ვა! რა კარგი რამე იქნება და, მაქთაღჯან! აი თუ წაეღოთ მე და შენ ნა ყარსუმ, ან ადერ-ბიჯანუმ, ან თავირზუმ! მამა ჩემი პოლოსს ცხონებამ იმოდენა ფულეებმა ვიშოვო, იმოდენა, იმოდენა, რომ სულ მეშოკებით წამოვიღებთ ოქროებმა...
— ღმერთმა ქნას, საქულჯან! მერე იცი

მე რას ვიხამ? დაეიქერ ქალაქში ნა გოლოენისკუმ სამი ოთახმა, ვიყიდი კარგი ბაბორმა, წამოვისხამ მხრებზედ, ერთი იმერელმა ბიქმაც ვიშოვი და გრიგინგრიგინ ფაიტონომ, ხან ზევით და ხან ქვევით... ჩვენი მძახალი მარტიროსა რომ მინახავს, ჯავრით გულმა გაუსტკება და თავის ცოლს ხანუშას ეტყვის: მაქთაღა ფაიტონუმ ტულა სულა შერებოდო!

— ვა! რას ბოდავ? რას მიქარავ, მაქთაღჯან? მე იქ მარტო რა მინდა, გინდა ღორის ზაკუსკა ოსმალებმა ემე მიყონ??... არა, არა გენაცვალე, თუ ემეა, ბარემ ორივეს გვიყონ, შენ აქ არ გაევიშვებ პოლოსს სულის მზემ! შენც უნდა მოვიხდე, ვა!

— მერე, მე რა უნდა გავაკეთო? შენ გიყი ხომ არა ხარ! გინდა მეც ემე მიყონ?!

— ტო, ტუტუტ! ერთათ რომ ვიქნებით ბუზიც ვერ აგვიფრენენ! მე მიშერებოდენ ემეს შენ შეევეხეწები—ჩემი საქულა ნუ მოკლავთო, მე მამაკლითო! შენ გიხამენ ემეს და მე შეევეხეწევა—ჩემი მაქთაღას ნუ, ნუ—, ოქუთ მატარ, მე დამკალით მეთქი.

— მერე მართლაც რომ დაკვლან, საქულჯან, მაშინ მე რალა უნდა ექნა?

— ტუტუტ, ტუტუტ, მაქთაღ!.. რუსები მოვლენ რუსებს ეტყვი: Пожолуга, мой Магтагъ твои будить მეთქი და თუ თათრები მოვიდნენ ეტყვი—ჩოხ სალოლ, ყარდაშ, მაქთაღ მოლიმირსან, დალბაზიშამქი—ევე! ქვევაზე ბოლი ქვევაზე, შენ რომ არა მყვადე ფულეებმა როგორ უნდა ვიშოვნო?!

— ვაიმე, საქულჯან! რეებს ამბობ მაქთაღ გენაცვალემა, მე ხომ არ ვივაქრებ ქა?!

— ტუტუტ, ტუტუტ! შენ კი არა, მე ვივაქრებ მე, შე ოჯახ ამბოტუქლო! ომში არ იცი როგორ ძვირია შენისთანა ადამიანები? ოროციო წლის დედაკაცი—ბარიშნა ეგონები! აახ! ნეტავი მეც შენსავით დედაკაცმა ვიყო და იმდენი ოქრო, ვერცხლმა, მარგალიტ, ყაქმა ვიშოვო, რომ შირვან შაჰის აქლემებმა ვერ ჩამოიტანონ ქალაქში.

— წამოვალ—კი, მაგრამ ერთიც ენახოთ გზაში ან კურდღელმა, ან მელამ, ან ტურამ შავებდა, ხომ შავგვამენ და ჩვენი ქონებაც ოხრაო დარჩება!

— ტუტუტ მაქთაღ, ტუტუტ—ერთი პრაშენია მოვეცე მღვდელმანტარს: Сакулъ на Карсумъ идогъ, одинъ ружья давай მეთქი და ხელათ ბერდენქას მამაკრავენ; კურდღელმა კი არა მეცხვარის ძაღლმაც, რომ შამხედეს, ხელათ ბერდენქაში გულსა ჩავდებ და... ბრაახ! შენი კურდღელმა ძირსა გდია.

—მერე შენ რომ გულას გაავლებ, მე შიშით რომ ემე ვქნა და მამაჩემ მიკრატუნასთან წაიღე მერე?!

—ჰოო! ეგეც უკვასთან ახლოა და... მერე ეს ოხერმა ჩემ დღეში თოფმა არ გამისროლია, მაგრამ, ახმხს! ელა მამა-გონდა!—მოდღე მაშინით წავიდეთ, ჰა!..

—საქულჯან, ახარ ერთი თავი დამანებე და, მაშინა რომ დაიყვირებს, შენი მაქათლა ყირამალა გადავიარდება...

—ვა? მაშ რა ვქნა ფულმა მინდა, ადამიანო, ფულმა! შე ოჯახ დაქცეული, საკუთარი ეკიპაჟი, საკუთარი ბიჭმა და გოგო, საკუთარი სხსლები და მალაზიები არ გინდა? ვა! როცა მაშინამ დაყვირება ქნას, შენ პირჯვარი დაიწერე და სუფსარკის შეებეწე. მორჩა და გათვდა.

—მაშ კარგი, საქულჯან, ჯანი გავარდეს, წაშოვალ, ოღონდ იცოდე, არ მომატყუილო და რაც დამპირდი მიცილო! მეც ხან ოსმალოს ჩავეხუტები და ხან რუსსა...—მაშ მივდივართ?!

—მივდივართ ვენაცვალე მაქათლჯან, მაგ სულის კლიტეში! მივდივართ!!!

კირაკუზა.

როგორ შეიტყონ ძალი შეხვარება-ლია თუ არა?

(X-ს აზრი)

თუ ქალი თავის დავარცხნას ხუთ საათს უნდება—შეყვარებულია, რომელიც ორ საათ ნახევარს—არა.

თუ ქალი სეირნობის შემდეგ სახლში ლოყა წითელი დაბრუნდა—შეყვარებულია, რომელსაც სახე მოღუშული აქვს—არა.

თუ ქალი თვალებს არ უხამხამებს გამვლელ-გამომვლელ ჩინოფნიკებს და კაკარდოსნებს—შეყვარებულია, რომელიც ყველას თვალს უხამხამებს—არა.

თუ ქალი წარმოდგენაზე დაიარება რაიმე პიესის საყურებლათ—შეყვარებულია, რომელიც ვერ-ბალეტში—არა.

თუ ქალი სადილობის დროს თითო კოვხს სუფს შეხერებს და ერთ ქათმის ფეხს სქამს—შეყვარებულია, რომელიც სადილის შემდეგ მამლარი ადგება—არა.

თუ ქალი ოჯახურ საქმეზე და მომავალზე ფიქრობს—შეყვარებულია, რომელი ქალიც მკერმეტყველობს და ფილოსოფოსობს—არა.

თუ ქალი ხშირად დაიარება მუშტაიდში, ბოტანიკურ ბაღში, როტონდაზე და სხვა ამ გვარ გასართობ ადგილებ-

ში—შეყვარებულია, რომელიც ხშირი სტუმარია ორთქალისა და ვერის ბაღებისა—არა.

თუ ქალი დილობით ზარმაცათ დგება ქვეშაგებიდან, შუადღემდის წევს და ოცნებობს—შეყვარებულია, რომელიც დილა აღრიან ადგება—არა.

თუ ქალი გამხდარია—შეყვარებულია, რომელიც მსუქანია—არა.

თუ ქალი „სიყვარულს“ ერთ უდიდეს რამეთ სახავს ქვეყანაზე და მას არ უღალატებს სიკვდილამდის—შეყვარებულია, რომელიც წუთიერ სიამოვნებისათვის და ჟინის მოსაკლავათ ზრუნავს—არა.

თუ ქალი კავალერთან ხელი-ხელ გაყრილი („პადრუჩკით“) დაიარება—შეყვარებულია, რომელიც მარტო დაიარება „უზაპდრუჩკით“—არა.

თუ ქალი ფანჯარაში ზის და მოუთმენლად აშტერდება ერთ წერტილს—შეყვარებულია, რომელიც ზის თავის სახლში და ხელ-საქმობს—არა.

თუ ქალი გოლოვინის პროსპექტზე ხშირ-ხშირად დაიარება ვიდრე საათის ხუთამდინ საღამოსი—შეყვარებულია, რომელიც შუაღამის თორმეტ საათამდინს დაწანწალებს—არა.

თუ ქალს თვალები ჩაშაგებული აქვს—შეყვარებულია, რომელსაც დაბაბი გადმოვლებული აქვს და ლოყები წითელი—არა.

თუ ქალი საპნით პირს იბანს შეყვარებულია რომელიც ფერ-უშარის გუნდალახუსტაქს, ჩირქსა და კრასკებს ხმა-რობს—არა.

თუ ქალი „ზურნას“ არ კითხულობს—შეყვარებულია, რომელიც კითხულობს—არა.

ი. გრი—შვილი.

კასართობი.

სმირნოვის დროს.

ქალი. აბა მითხარი საშა! შენ უფრო რომელი ხილი გიყვარს?..

ვაჟი. მე საზოგადოთ ხილი ბევრნაირი მიყვარს: ყურძენი, ატამი, მსხალი, ბროწეული, მარწყვი, ქანკური და სხვა... მაგრამ განსაკუთრებით კი მწიფე ლეღვი მიყვარს.

ქალი. რასაკირველია მწიფე ლეღვი უფრო სსიამოვნოა.

ვაჟი. შენა, ლიზიკო? შენ უფრო რომელი ხილი გიყვარს?..

ქალი. მე... მე უფრო ქორფა კიტრი მიყვარს.

ვაჟი. ჰჰჰ... მართლაც რომ ქორფა კიტრი ყველაზე უგემრიელესია.

გრი—ი.



ეშმაკი. როგორ ბძანდება, ჩემო ძვირფასო. **ქალი.** თქვენ სცდებით მე სრულგებობას ვღაივარ ძვირად.



მოჭერაც საშიშია.


ცხმლ-ცხმლი აბაგბი.

—**ამ დღეებში მოხდება კონფერენცია** სრულიად კავკასიის მაქანკალ ქალეზისა და შუამავალ კაცებისა, თუ რა ზომები მიიღონ თურნალ „ცეცხლის“

წინააღმდეგ, რომ მისში აღარ იბეჭდებოდეს საჯვარისწერო განცხადებები, რადგანაც მათმა შემოსავალ ა საგრძნობლათ იკლო.

— ბ. ივანე როსტომაშვილს განუზრახავს გადმოეხსლოს თელავიდან თფილისში და „სტეხლს“ კონკურენცია გაუწიოს „საჯვარისწერო“ კასის დაარსებით, ჯერჯერობით კი ამგვარ კასას თელავში აარსებს. (მგონი კიდეც დაუარსებია).—

— როგორც თელავიდან გვატყობინებენ ივანე როსტომაშვილს საიქიოდან დეპუტემა მოსვლია და იქაური ახალგაზდანი საჩქაროთ იბარებენ კასების დასაარსებლათ, როსტომაშვილს განუზრახავს რაც შეიძლება მაღე გაემგზავროს და კასების საქმე მოაწყოს.



გ ა კ ვ რ ი თ.

ქალი. გამოგონია, რომ ქმრიანობა კარგია მართალია თუ არა?!

ვაჟი. სად გაიგონეთ?

ქალი. მე ვადომოცა ერთმა ჩემმა მეგობარმა ქალმა, რომელიც ეხლა-ხან მისთხოვდა ჩინოვნიკს!..

ვაჟი. მართალი უთქვამს, — ქმრიანობაზე უკეთესი სხვა არა არის რა ქვეყანაზე.

ქალი. აბა... როგორ?!

ვაჟი. მაგას კი... კორწინების შეორე დღეს აგისნით!..

გრი—ი.

ქალბატონი და ზოგო.

ქალბატონმა, რომელიც ფეხთმძიმეთ იყო, შენიშნა, რომ მისი მოსამსახურე ქალიც ფეხმძიმეთ არის. „ნუ თუ არა გრცხვენია, შენ კიდეც ახალგაზდა ხარ და უკვე ფეხ-მძიმეთ ხარ?!“—უთხრა ქალბატონმა მოახლეს.

— ქალბატონო, თქვენც ხომ ფეხთმძიმეთა ბრძანდებით?

— ეს სხვა საქმეა—მე ქმარი მყავს.

— მეც თქვენი ქმრისაგან ვახლავართ, ქალბატონო, სხარტათ მიუგო მოსამსახურე ქალმა.

მ მ მ ი ა ნ ო ბ ა.

(ესკიზი)

— მშვიდობით, ჩემო კარგო!

ამ სიტყვებით მან თავი მალდა აიღო. ის მის წინ იდგა, თავზე ეხურა ფართო კალთებიანი შლიაბა, რომლის

ქვეშიდანაც მისი შავი თვალები კეკლუტათ ანათებდენ, ლოყებზე წითელი წერტილები თამაშობდენ! რა მშვენიერია სანახაობა იყო იგი ამ დროს! მან კი მუშაობას თავი დაანება და აღფრთოვანებული, განცვიფრებით შექუყრებდა ქალს.

— ჩემო კარგო, არ გინდა გამომემშვიდობო?—გაიმეორა ქალმა ღიმილით.

— გამოგემშვიდობო? შენ მიხვალ?!

— ნუ ჯავრობ ჩემო... კარგო!.. მე... მე ცოტა აღდენს გავსეირნებ... სულ ერთ საათს... მეტს არა!..

— მარტო შენ?

— ჩემო კარგო, სასაცილოა ღმერთმანი... ნუ თუ მე ბავშვი ვარ?! მშვიდობით!.. ქალმა აკოცა მის და ოთახიდან მხიარულათ გამოვიდა.

— მე შენ რვა საათის შემდეგ აღარ მოვიციდი! მიაცივრა ქმარმა ვასელის დროს.

— კარგი!—

ის ადგა ფანჯარასთან მივიდა და გაფაციკებით ადევნებდა ქალს თვალს. ქალმა გაღიარა ქუჩა!

რა მშვენიერი ტან-საცმელი აცვია! ნეტა რატომ გამოეწყო ამ ტანისამოსში სასეირნოთ? გასაკვირველია!

მან ტურნები დაიკენიჭა და გულში გაღვიძა მწვავე, ნაცნობი გრძნობა.

— აგერ კიდეც გაღიარა ქუჩა, მისი ფიგურა ძლივსა მოსჩანს შორიდან. მაგრამ ეს რაა?.. ვგონებ, მასთან ვიღაც მივიდა... ქალმაც უკან მოიხედა შიშის გამო—ვაი თუ ქმარი მიყურებდეს. იგი ხელს ართმევს ვიღაც კაცს!!

— რა სისულელეა... ეს სრულიადაც ის არ არის... და თუ ის არის?!—და კაცმა ნაღვლიანათ ამოიხენწემა.

არა და არა! სუყველაფერი მიეფარა თვლიდან. ის ვეღარ არჩევს მის ფიგურას სხვა ქალებიდან, რომელნათაც მოედანი გაღიარეს.

ის ფანჯარას მოშორდა, გულისცემის შეჩერებას ცდილობს, თავის კაბინეთში აღელვებული გადის და სარკის წინ ჩერდება.

სარკეში მოჩანს გამხმარი, ფერმკრთალი. სახის ულამაზო გამოხატულება—მოწყენილ უსიამოვნო გამომეტყველებით. სახის ასეთი შეხედულება აორკეცებს გულმტკიცობის მწვავე გრძნობას და ბადებს რაღაც შიშს...—

— რა გასაკვირველია, —მე რო მას არ უყვარდეს?!—ფიქრობს ის.—მე ძლიერ ულამაზო და ხანში შესული ვარ მასთან შედარებით. თუ ის მე მღალატობს—ეს ბუნებრივი მოვლენაა!..

ღიახ, ბუნებრივია!—

ტურნები შეიკუმშა და ხელები აუძაგდავდა.

— ბუნებრივია?!. ეს არაფრის გული-სათვის არ მოხდება! ამას მე ვერ მოვითმენ!.. სასეირნოდ ასე კარგად რატომ გამოეწყო ის? მასთან მივიდა, თუ სხვათა, ის ვიღაც უცნობი კაცი?!

ის მივიდა მაგიდასთან და საშუშაოს ხელი მოკიდა, მაგრამ მის ახლოს ტრიალებს შეაბეღითი აჩრდილი—ექვიანობა, რომელიც მის აზრებს რევს და საშვალეობას არ აძლევს იმუშაოს. აჩრდილი მას სულს უხუთავს.

გარეთ ღამდება. ოთახშიც თითქმის ჩამობნელებდა; მან თავი ჩაქინდრა და ფერმიხილილი ჩაჯდა სავერძელში. აჩრდილი თანდათან უახლოვდება.

— სულელი! ყურში ჩასჩურჩულებს აჩრდილი.

— შენ კიდეც ექვობ? შენ ცდილობ თვალები დახუჭო? გუშინ რა იყო?.. გახსოვს, თუ როგორ შეკრთა ის?.. როგორ სწრაფად დახია წერილი?.. დედალიზისათან მოწერილია. როგორ ცდილობდა ღიმილით ჩაეფუტეჩებინა შენი იქვი! მის ღიმილში გამოჩნდა შიში... მისი თვალები ცბიერად გამოიხედებოდენ! დღეს კიდეც, —ასე უცბად რატომ მოირთო და საღაც წავიდა? იმას ეწინააღმდეგა, რომ სწრაფად გახია წერილი... შენ სულელი... მას უყვარს ვიღაცა, —ეს ცხადია!.. ვახსოვს, სამი დღის წინეთ გათენებისას რომ გამოიღვიძე?! ის რაღაცას გაუგებრად თავისთვის ბუტბუტებდა:—ოჰ, რა ბედნიერათ გრძნობდა იგი ამ დროს თავს, როგორ უჭირდა მას ამოსუნთქვა.

მოიგონე, შენ შეგეშინდა და ქვასავით გაცივდე. მისი სახის გამომეტყველებამ შენ გაგაოცა. ხელ-ახლა გააღვიძა შენში ბოროტი ექვები. სულელი! იეკვე! ის შენ დაგცინის!.. ის იყო ის! ქუჩაში მასთან მივიდა მისი საყვარელი... იმან უკან მოიხედა... შენი ეწინააღმდეგა—ფანჯარიდან არ მოგესწრო თვალი!—სულელი, მიხედი?! ღიახ, ეს აუტანელი რამ არის!..

ის ადგა და ფეხ-აკრფვით მის დასაძინებელ ოთახში შევიდა.

ღმერთო ჩემო, როგორ მიფანტულია ნივთები, როგორ სჩქარებია მას წასვლა! ეს რაღაა?! აძვირებულ ხელებით იაკიდან ის იღებს ნაკუწ-ნაკუწ დავლეჯილ ქალღმლის ნაწილებს და თავის ოთახში შედის. ფანჯარასთან დგება, ქალღმლებს ერთი-ერთმანეთს აწვებებს, მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. მხოლოდ ერთი სიტყვა „შენ“... მთავრად „ღღ“!.. ვგონებ დღეს?—ესლა ამოიკითხა.

— ეს მამაკაცის ხელს წაავაგეს!—ჩასჩურჩულებს მოჩვენება.

— არა!... ვგონებ, ღიზს ნაწერია!
მოაგონებ ჩუმად იცინის.
დალაშქარ კიდევ... საათმა ცხრა დაჰ-
კრა! ის შინკ არსადა სჩანს! აღლევებუ-
ლი ის გადი-გამოდის ოთახში. შავი აჩრ-
დილი კვალ-დაკვალ დასდევს მას, უხ-
ლოვდება და ერთსა და იმავე გულმოს-
კლავ სიტყვებს ჩასჩურჩულებს. ის მთლათ
აერთო და აღარ იცის რა ჰქნას. აჩრდი-
ლის სიტყვების გამო იფანტება ყოველი-
ვე ექვიანობა და გულის დამკოდავი სი-
ნამდვილე შეფდება მის არსებაში...

ეს მისი ნაბიჯის ხმა მოისმის კიბეზედ...
ხელის კანკალით ის ნელა კედლიდან
მოღუნულ სანადირო დანას ხსნის და სინ-
ჯავს... არაფერი უკირს, მოღვსილია!
გადის დერფვანში და კარებს უკან
იხალდება... კანკალობს... უცდის... მის
უკან შეგებდითი აჩრდილი იმალება და
თავისი განუწყვეტელი ჩურჩულით ამა-
გრებს, ამხნევებს მის ბორბს განზრ-
ხვას, გადაწყვეტილებას... და აი...

„ერთის შეგობარი“.



ჰმკრის სიმღერა.

(გუძღვნი N-ს).

უბედური ჩემი ქმარი
ვერა გრძნობდა სიყვარულს;
მას დაუდგეს ორთავ თვალი,—
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა.

თუ რომ მე შენ გეყვარები,—
მეც მოგიძღვნი სულს და გულსა;
ახლოს, ახლოს, მომეკარი!..
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა!..

არ ვიგონებ პირველ ქმარსა,
არ ვიგონებ ჩემს წარსულსა;
მე ვინც მიყვარს, ის სულ მიყვარს!..
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა! .

შენ მოგიძღვნი ჩემს სიცოცხლეს,
ოქრო, ვერცხლს და ურიცხვ ფულსა,
სად შენ და სად ჩემი ქმარი?!
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა!!!

სულ ვერავინ ვერ გაიგებს
ჩვენსა ტრფობას დაფარულსა;
მხოლოდ ხშირათ გამახარე...
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა!

ჩემთვის შლილი ვარდი ხარ შენ
ზამთარსა და გაზაფხულსა;
სწორეთ ჩემი შესაფერი...
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა!.

მაშ, მაკოცე, გენაცვალე,
შენთვის დამწვარ დადაგულსა;
მკერდი ჩემ მკერდს მოაკარი...
შენ სჯობიხარ ცხოვებულსა!!!

გრიშაშვილი.

პროვინცია.

წერილი გურიიდან.

ჩვენ ექვი არა გვაქვს, რომ ქ-ნი პე-
ლაგია წაიკითხავდა გაზეთ „აზრის“
N 15-ში გურიიდან მოწერილ ამბავს
„წერილი გურიიდან“, სადაც სხვათა
შორის ნათქვამი იყო, რომ ს. ქე—ში
მოხდა სასოფლო კრება, რაზედაც აუარე-
ბელმა ხალხმა მოიყარა თავი და გამოირ-
კვა, რომ ერთ ახალგაზღვას, რომელიც
აქამდე „ახალთაობის“ წევრიც კი ყო-
ფილა შეუცდენია ახალგაზღვა, გამო-
უცდელი ქალი, რომელსაც შეჰპირე-
ბია ცოლობას და პატრონობას და
შემდეგ კი მოუტყუებია, ქალი დაორ-
სულებულა და სხვა... მერე რა გადაწყვე-
ტილება გამოუტანა კრებას? აი საკით-
ხი, რომელსაც, თუ მართლა პელაგია
ნამდვილად მოსარჩლეა ერის ზნეობივ
ამაღლებისა, უნდა მიაქციოს ყურა-
დღება და მით უმეტეს გამოეხარ-
ჩლოს გაუპატიურებულ ახალგაზღვა ქე-
ლიშვილს—თავისივე მიწა-წყლისა და
ზიზღი და წყევლა-კრულვა შეუთვალოს
იმ „ახალთაობის“ ვაჟბატონს, რომელ-
მაც ეს საზიზღოვება ჩაიდინა...

მაგრამ პელაგიას შინაურ საქმეების-
თვის არა სცალიან, ის ებრძვის ბოკა-
ჩიოს და მის ნოველებს, რომლებსაც
მისი აზრით გარყვნილება შეაქვს საზო-
გადოებაში. და ის საზოგადოება კი, რო-
მელსაც მინდობილი ქონდა ამ საქმის
გამოკვლევა გამოძიება, მხოლოდ ზიზღ-
სა და კიცხვას უთვლის ბოკაჩიოს ნაირ
რაინდს და სწყვეტს ქალის მოსალოგო-
ნებლათ ამ ვაჟბატონმა გადაუხადოს ერთ-
დროულათ 30 მანეთი. ბავშვის კითხვა
ჩი ღიათ რჩება.—

მე მგონია, ამაზე მეტად ქალის დამ-
ცირება, აღარ შეძლება. და აი სად უნ-
და გამოიჩინოს ქ-მა პელაგიამ ზხა და
უნარი! აი ვის უნდა გამოეხარჩლონ ისა
და მისი რწმუნებული ოცდა ხუთი ქალი.

მაგრამ პელაგია, დარწმუნებული ვართ,
ამაზე სულაც არ ამოიღებს ხმას და
მთელ თავის სიცოცხლეს „ცეცხლის“
ჩხუბსა და კრიტიკას შესწირავს. მას მხო-
ლოდ „ცეცხლი“ ელანდება თვალგზში

და მის იქით რა ხდება თვით ცხოვრე-
ბაში იმას კი აღარ ამხნევს.—

ერთი დამსწრეთაგანი.

აფთიაქის წერილი საბრძოლავში

მინდა მუდამ შენთან ვიყვე,
მოგეწეპო ვით „პლასტირი“,
„სასაქმებელ წამალივით“,
რომ მაწვალებ მისთვის ესტირ!

ვით „ქინინა“—მწარე სიტყვებს,
ან დამწველს ვით „ლიაპისი“,—
ნუ მომპყრი, ჩემო ტურფავ,
შეიბრალე „დიანისი“!..

წინახედ რომ უარი სთქვი,—
გულში მომხვდა, როგორც ტყვი;
თუმც „კრიზისი“ გაღვიტნე,
სამაგიეროთ მუდამ მშოი!

ახლა კიდევ გიმეორებ
ნულარ მტანჯავ, მოდი მნახე;
„სიცოცხლის ბანს“ შენგნით ველი
მომარჩინოს ეგებ მალე!

ტიტიკო მგელაძე.



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა .

„რაქა-ლენჩუმ სენეთის სწავლა-გა-
ნათლების შემტან საზოგადოების“ გამ-
გეობის თავმჯდომარე ევგენი დვალი ამით
აცხადებს, რომ სხენებულმა საზოგადოე-
ბამ გახსნა თავისი განყოფილებაწი რაქა
ლენჩუმის და სენეთის ყველა სოფლებში
და შეუდგა თავის მოქმედებას! დაარსა
სკოლები, თეატრები, წიგნის მაღაზიები,
სამკითხველო წიგნთსაცავები, სტამბები
და სხე... მოაწყო ლექციების კითხვა
და სხე .. ამიტომ სხენებული საზოგა-
დოების გამგეობა იწვევს სკოლებისათვის
მასწავლებლებს, თეატრებისათვის არტი-
სტებს, წიგნის მაღაზიებისათვის ნოკრებს,
სამკითხველოებისათვის გამგეებს, სტამ-
ბებისათვის ასოთ-ამწყობებს, ლექციების
წასაკითხათ ლექტორებს. პირობების გა-
გება შეიძლება „ცის ნამის“ და „წმინდა
გიორგის შუბ მათარხის“ რედაქციებში,
რომლებს ადრესიც არის—პირველის ცის
ჰაერი და მეორის—მეზურეთა ფქვილის
ტომრის საწყობი.

კ ა ს ა რ თ ა ბ ი

ციხეში ბანქოს თამაში.

ბანკის მოსამსახურეთაგანი—ბუხგალტერი, 55,000 მანეთის ვაფლანგის გამო ციხეში ჩასვეს. ეს ვაფლანგის, როგორც ბანქოს მოტრფილემ, ციხის კამერაშიაც ხშირათ ეთამაშებოდა ტუშალებს ბანქოს. ერთხელ ერთ კონტოსთან მოუხდა თამაში და რადგანაც კონტო თანდათან აგებდა ფულს, ორ-ორ შურობით მიდიოდა „კონს“. ბანკის მოსამსახურეს შეტის იმედი ქონდა და გაჯავრებულმა მიმართა ამხანაგს.

კუროპატკინივით სულ უკან უკან რას იხევი... გადმოდი რაღა თუმნიანებს....

— ეეე! შენ ნომ ზევით ეტაჟში არა გწვევს. ცოტა დაუღალადი, ნუ თუ ის აღარ იცო, რომ კასის გასაღები ჯიბეში აღარ გიძევს და ჩემსავით ციხეში ურუტობა?...!

პლატონიკი.

დენეშები „ზურნისა“

სტამბოლი. ოსმალები დიდ მზადებაში არის ყარსის და ბათუმის საზღვარზე დიდ ძალ ჯარს უყრიან თავს. მოსალოდნელია ომი რუსეთთან.

ქუთაისი. მანიფესტი გამოაცხადეს თუ ბოლოს არ მიეკვარაბქინა.

ბათომი.

ყარსი. ჩქარი მატარებლის მიმოსვლაა.

ყვირილი. ცნობილი ბანკირი და ფინანსისტი ომან იოსელიანი გააშავეს და მის ალბანს ეირჩიეს ზინგერი... სოგრატ აბაშიძეს ებოძა პოდაპოკოვნიკობა და დროებით დანიშნეს ქუთაისის გუბერნის ციხის უფროსად—ვარდენ საყვარელიძე წარდგინდა ამავე თანამდებობაზედ. ეს მეორე დღეა რაც კლუბში სკანდალი აღარ მომხდარა.

გორი. არჩვამისა და მისურამის წიგნის მალაზიაში მიღებულია დიდ ძალი ბატენის ლეინოები. ფასები საოცრად იაფია. ვედრო — 1 მ. 50—ერთი გადაკრა—უფასოთ. აუარებელი მუშტარი ასეცა მალაზია.

სიხვარულია, თუ მასხრობა!..

სიყვარული, სიყვარულის გრძობა, პატიოსანი, უმანკო სიყვარული,—არაერთარი ბოროტი ახრით არ გამოწვეული, მშვენიერი, გულმოპტაცი—კეკლუჯი სიყვარული... ორ ადამიანთა პატიოსანი კავშირი,— ახროვნებათა თანხმობა ქალსა და ვაჟს შორის, მათი ერთმანეთთან დაახლოვების მიზეზი-იდეა ერთნაირი, გარეგნული სილამაზე სულიერ სილამაზე გაცვლილი—ქეშმარიტად სათაყვანებელია, ღირსია პატივისცემისა, მაგრამ სიყვარული გარეგნული შეხედულებით გამოწვეული, ხროკუელი, სქესობრივი, ნივთიერ ბენდიერების დამყარებით გამოწვეული, უკუუ-უმსგავსო, ადამიანის პიროვნების დამამკირებელი სიყვარული, სიყვარული გონება დაზღუნგულ ადამიანისა, დიახ, საზოხლარია, შესაფურთხებელი...

ბევრი შეყვარებულნი კავშირდებიან უაზროთ-გარეგნულ სილამაზის მიხედვით—დიახ, გარეგნული და ეს კი წარმავალია, ვაქცნება ლოყა წითელი,—მოგაკლდება მიხერა-მოხერის უნარი—იკარგება სიყვარულის ძალა, შეყვარებულნი მტრები ხდებიან ერთმანეთის—დიახ, ერთმანეთს შეიძულდებიან—რატომ? ვაქცნა შემაერთებელი მიზეზი, ვაწყდა ძაფი სიყვარულისა და ეს არის მოსაწონი? დღევანდელი სიყვარული? მასხრობა! ან და არ არის ნამდვილი, პატიოსანი სიყვარული?

ძვირათ შეხედვებით ნამდვილი პატიოსნურათ შეყვარებულთ—სანამ ადამიანი პიროვნების იდეურ მხარეს არ მისცემს უპირატესობას სიყვარულში, სანამ ადამიანი არ ამაღლდება—სიყვარული მასხრობა იქნება. მიეცით ადამიანს ზნეობრივი განათლება, ამაღლეთ გონებრივით, ჩაუნერგეთ სიყვარული კეთილ ახროვნებისადმი, სიყვარული ქალსა და კაცს შორის განსეტყვლება—გალამაზდება და დღეს კი ნამდვილი სიყვარული, შეყვარებულნი, იცოდეთ არ არის, არის მხოლოდ სიყვარული—მასხრობა.

„ასიდან ერთი“

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! უმოჩილესათ გთხოვთ ალბი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ ურნალ „ზურნაშიდ“ ჩემ პატარა შენიშვნას. ჩემი განცხადების დაბეჭდვის შემდეგ ცეცხლი № 2, აუარებელი წერილი მივიღე სხვა და სხვა ნაირი წინადადებით, რადგანაც ჩემთვის შეუძლებელი შეიქნა ყველა წერილების ავტორთა ოგის პასუხის ბაცემა—ამიტომ ვაზეთის საშუა-

ლებით მათ წინაშე ბოდიშ ვინდი... მით უმეტეს რომ ჩვენ ჩვენს მიზანს უყვე მივაღწიეთ. გთხოვთ მეორეთ ჩემს განცხადებას ნელა დაბეჭდეთ.

რედაქციისაგან. რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო კერძალის გამოკევა დღემდის შეჩერდა, დღეს შემდგმ კი ვურნალ წესიერათ გამოვა, ორ კვირაშივე ვრეკულ. ზოგიერთი მკითხველები ვგისაყვედრებენ, რომ განცხადების პატრონთ წერილების უზგანებით და პასუხს არ ვღებულობთო, ასეთი პრეტენზია ახირებულათ მივაგანიათ. რედაქცია აქ არაფერი შეაშია—დანამდვილებით ვიცით, რომ ზოგიერთი წერილები ფოშტამ აღრესატს არ დადნება რადგან აღრესი უხეიროთ იყო დაწერილი.

განცხადებანი

მსურს ცოლის შერთვა, იყოს ახალგაზდა ესე 20-დან 22 წლამდე. წერ კითხვის მკოდენ და რავე ხელობაც უნდა იცოდეს მაგ, კრა-კერვა. მე თვითონ ხელობით ასოთ-ამწუბობი ვარ (სტამბაში მომუშავე) თვეში 50 მანეთი მაქვს ჯამეგირი, ხნოვანობით ვარ 25 წლისა თუ ვინმე ინებებს და გამოამგზავნის ფოტოგრაფიულ სურათს, მეც შემძლია ვაუგზავნიო ჩემი სურათი, თუ არა და შეიძლება პირადადაც მოლაპარაკება (უფრო უკეთესი იქნება) ან თუ არა და წერილობით. აღრესი: Тифлись Тифография „Сорань“ А. Г. М.—лаძე.

(თვ.)

გთხოვთ № 5. ი. ჩემი ფოტოგრაფიული სურათი უკანვე დამიბრუნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაშილ თქვენ სახელსა და გვარს ვაზეთშილ გამოავცხადებთ.

№ 26.

რეგოლიუციის დროს დავზარაღდი, „ბრაშოურის“ დაბეჭდვისათვის პასუხის გებაშილ მიმცეს და ციხეში ჩამსვეს რაც რამე მქონდა „ამხანაგებმა“ მიფლანგ-მოფლანგეს, ერთი თვის შემოვცე ციხიდან გამოათვისუფლებენ, მარა საქვს რომ შეუღვე თანხა არა მაქვს. (წიგნებით ვაქრობდი) თუ ვინმე აღმოჩნდება ამხანაგი ქალი და თანხას ვამჩინეს ცოლათაც შევირთამ და საქმესაც ორივეს ერთთ ვაუძღვებთ.

აღრესი: Тифлись почта. предъявительно 3 რუბ. кредит. билета за № 489475 (2—1)

მსურს გათხოვება მდიდარ და შემღებულ კმაწვილზე. საოცარი ლამაზი ვარ. კარგი ხასიათისა და დაუზარელი მყოფაზე. საშუალო განათლება მაქვს მიღებული. სამხედრო სამსახურში მყოფებს ვერ წავეყვები. წერილის წერით ნუ შეიწყობენ თავს. უსახელო წერილებზე პასუხს არ ვაგისცემ, აღრესი: Кутаისь, почта, предъявнт. Свидѣтельст. объ окон. ж. г. за № 2510.

(2—1).

დიდი სურვილი მაქვს თანამედროვე ლიტერატურის გავრცელებისა და ამიტომ უარს არ ვიტყვი, ფულიან ქალზე. მეტ ყურადღებას ვაქცევ ქალის მეოჯახობას და სინდისიერებას. მე თვითონ ხელობით ასოთ-ამწყობი ვარ (21 წლ.) და თეიურ ჯამაგირს 50 მანეთს ვიღებ, სხვა შეძლებულებს ვისაც სურს წერილის საშუალებით შევატყობინებ.

ადრესი: Тифлисъ журнала „Зурна“ для П. Д.—дәе. (5—5.—1)

ცხრამეტი წლის ქალი ვარ. გასათხოვარი და უმწიკვლო ოჯახის შვილი. ქრაკერვის და ქარგვის კარგი მკოდნე. მზითვებით მშობლები მაძლევენ ოჯახის მოსაწყობ ბარგსა და ნივთებს გარდა 1000 მ. ფულათ. ვეძებ საქმროს შემდეგის პირობით: უნდა იყოს ხნოვანებით 25-დან 30-წლამდე. კეთიანი, შეგნებული და ზრდილობიანი. ხელობით ან რაიმე სუფთა საქონლით მოვაჭრე, ან ნოქარი ან რომელიმე რიგიან კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურე პირი, რომელსაც უნდა შემოდოდეს თვიურად არა ნაკლებ 60 მანეთისა. თვალტანადობით სიმპატიური შეხედულობის. ჩემი პირადი ღირსების შესახებ ვიტყვი მხოლოდ რომ ზოგს მოეწონება შეიძლება გარეგნობით შეიძლება ხასიათით. მიანტერესებს პოლიტიკური კითხვები და ვეტანები ქართულ წიგნების და ვახუშტის კითხვას. რუსული სამაგისოთ არ ვიცი რადგან სურათით აღამიანის გამოცნობა მეტად ძნელია და თითქმის არც კი შეიძლება, თანახმა ვარ პირდაპირ ნახვის და ვაცნობის, ხოლო იმ პირობით, რომ თუ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყვა, როგორც ჩვენი მოლაპარაკება ისე ჩვენი ერთმანეთის ცნობა უნდა დაჩრჩეს საიდუმლოდ და მიეცეს სრულ დავიწყებას. თანახმად ჩემის განცხადებისა მსურველმა მაცნობოს დახურული წერილით.

ადრესი: Тифлисъ, почта предьявителию рубл. кредитн. билета за № 708291. (2—1)

მსურს ცოლი ვითხოვო, ახალგაზდა, ლამაზი, კეთილი, განვითარებული და მეოჯახე უნდა იქნეს, მზითივი სავალდებულო არ არი. თითონ მე საშუალო სასწავლებელი მაქვს გათავებული სამსახურში ვარ, მაქვს 80 მანეთი თვეში. დაწვრილებით პირობა წერილით. ადრესი: Тифлисъ, предьявителию руб. кредит. билета за № 770000. (3—2)

28 წლისა ვარ, სწავლა დიდი არა მაქვს მიღებული, მხოლოდ განვითარება კისკამო. რეაქციის ტრადეები მეტათ ჩემზედ მოკმედებს და ამას ზედ ერთი სიმარტოვე და მოწყენილება რისთვისაც გადავსწყვიტე ცოლის შერთვა. ფულადი სავალდებულო არაა. ლამაზი თუ იქნება მით უკეთესი. ადრესი: Батумъ. Почта. предьявитель трехъ руб. кредит. билета № 901902.



როგორც „ჩვენი“ გამოჩენ მან ტუჩები მოკუნა, რომ დაესტენა მშინ კი დავიწყით ..

მსურს გათხოვება. განათლება ებარხილურ სასწავლებელში მაქვს მიღებული, ღარიბი მამის შვილი ვარ, ქრთამი არა მაქვს. მგონია რომ ლამაზი უნდა ვიყო. ჩემ სურათს თუ ვინმე მოისურვებს დროებით გაუგზავნი. უსახელო და ინიციალების ავტორებს პასუხს არ ვაქცევ.

ადრესი: Тифлисъ, Предьявителию руб. кред. билета за № 809978. (2—2).

32 წლის კაცი ვარ, პროფესიით თურნალისტი, უცოლო. პრინციპიალურათ ცოლის შერთვის წინააღმდეგი არ ვყოფილვარ, მარა თანამედროვე ბურჟუაზიულ ხანაში, როდესაც ყველგან და ყველაფერში გამეფებულია უღმობელი მატერიალური ანგარიში, რამაც ოჯახურ და მეუღლურ ცხოვრებასაც თავის დანი დაასო, ვერ ვხედავდი ცოლის თხოვას. მარა მომბეზრდა მარტოობა ჩემი გული თხოულობს სიყვარულის საგანს მეუღლის სახით. მწყურია ოჯახური ცხოვრება. მინდა უყვარდე ვინმეს, რომ არსებობისთვის ბრძოლით და კირვარამით დაქანცულს შემეძლოს თავი შევაფარო მას და სულიერად მოვისვენო. ვეძებ საცოლოს. მზითვები თუ ექნება ხომ კარგი თუ არა და არ დავეძებ, მარა თითონ კი უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა პატიოსანი დედამისიშვილი და მასთან ზნეობრივად აღზრდილი, გონებრივად იმ ზომამდე განვითარებული, რომ შეეძლოს თანამედროვე კითხვებზე და სერიოზულ საკანებზე სჯა-კამათის გაგება. რცოდეს მეოჯახეობა ე. ი. იყოს ცხოვრებისთვის პრაქტიკულათ მომზადებული. ამასთან, რადგან ცოლ ქმრულ კავშირს უშთაგრესად სქესობრივი მიდრეკილება უქვეს საჩუღლად ესტესტიურის მხრივ აუცილობელ პირობათ მიმანჩია სილამაზე. ხნოვანებით 17-დან 25 წ. ეროვნებით და სარწმუნოებით ვინც უნდა იყოს, ხოლო მსოფლომხედველობით უსათუოდ სოციალ-დემოკრატი. ქართული ან რუსული ენის ცოდნა საქმროს აუცილებლათ რადგან სხვა ენები მე არ ვიცი.

ადრესი: Тифлисъ почта предьявитель. руб. кредит. билета за № 499006.



ქალი — ნება მიბოძეთ ექსპრობრაცია მოგახდინო.

კაცი — დღეს უკვე დაბეჭეული ვარ.



კულისებშიდ.

„ზურნას“ ფოსტა.

ბაქოში ე. მატხერიას. თქვენ თვითონ პირდაპირ მიმართეთ იმ ადრესით ფოსტის სახელზე ვისაც წერილს უგზავნით უნდა დაიწეროს ასე: почтаитъ (Такой-то или такому-то) До вострѣбванья.

გამომცემელი დ. აბდუშელი.

6921
1907

